

კითხვა: დაახლოებით რა პერიოდისათვის იქნება შესაძლებელი სამუშაოების დაწყება?

პასუხი: ტენდერის ჩატარების და გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ. დაახლოებით 25 აგვისტოს შესაძლებელი იქნება ხელშეკრულების გაფორმება.

კითხვა: რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ვერ მოესწრება სამუშაოების ვადაში დასრულება, ჯავახეთში არსებული მძიმე კლიმატური პირობების გამო?

პასუხი: ვინაიდან ჩვენ ვმოქმედებთ KfW-ს მიერ გათვალისწინებული რეგულაციებით, ტენდერის გამოცხადებიდან 45 დღის გათვალისწინება არის აუცილებელი წინადადებების მიღებამდე. პროექტი, რომლის ფარგლებშიც სასმელი წყლის რეაბილიტაცია იგეგმება სრულდება 2014 წლის მარტში და შესაბამისად პროექტი წყვეტს მუშაობას. ქედან გამომდინარე სამუშაოები უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2013 წლის ბოლომდე და კომპანიების შერჩევის ფარგლებშიც გარკვეული უპირატესობა მიენიჭებათ კანდიდატებს, რომელთა წინადადებიდანაც ნათლად გამოჩნდება, რომ ისინი შეძლებენ სამუშაოების დათქმულ დროში დასრულებას.

კითხვა: რა სხვა გადასახადები იგულისხმება, რომლებიც არ უნდა იყოს შეტანილი ძირითად თანხებში?

პასუხი: ესენია: დღგ, იმპორტის გადასახადი, საბაჟო გადასახადი და სხვა. თანხა უნდა იყოს მოცემული გადასახადების (დღგ და სხვა. არ იგულისხმება საშემოსავლო გადასახადი) გარეშე. აღნიშნული გადასახადები უნდა გამოიყოს ცალკე.

კითხვა: რამდენად ზუსტია ტექნიკურ დავალებაში მოცემული გრუნტის გათხრის სიღრმე?

პასუხი: გრუნტის გათხრის სიღრმეები, გადამოწმდა და დადგინდა რომ ნახაზებში მოცემული სიღრმეებია გასათვალისწინებელი. ნახაზების მიხედვით სიღრმე შეადგენს საშუალოდ 1,5 მეტრს.

კითხვა: აუცილებელია თუ არა საბანკო გარანტია?

პასუხი: დიახ, აუცილებელია. სატენდერო წინადადების გარანტიის წარდგენა აუცილებელია და მისი არ წარდგენა გამოიწვევს შერჩევის პროცესიდან გამორიცხვას. რაც შეეხება სააჯანსო გადახდის გარანტიას პრეტენდენტს აქვს უფლება არ მოითხოვოს სააჯანსო გადახდა და შეთავაზების ფორმაში, რომელიც მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის სექცია 4-ში მიუთითოს შესაბამის ადგილას ამის შესახებ, კერძოდ კი თავი 4.1 სატენდერო შეთავაზების ფორმის „ნ“ ქვეპუნქტში ჩაწეროს ”0“.

კითხვა: იმ შემთხვევაში თუ ორი კომპანია გადაწყვეტს მონაწილეობის მიღებას, მაგ შემთხვევაში 1 500 000-იანი ბრუნვა უნდა ანახონ ერთობლივად თუ ცალ-ცალკე ?

პასუხი: ამ შემთხვევაში ერთი კომპანია მაინც უნდა აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნას. ანუ ბრუნვა უნდა ანახონ ცალცალკე.

კითხვა: კლდოვანი ზედაპირი თუ არის რომელიმე ადგილებში და უნდა გავითვალისწინოთ, თუ არა შესაბამისი ხარჯები ხარჯთაღრიცხვაში.

პასუხი: პროექტში მანძილები მოცემულია არსებული 1:25000 ტოპო პლანშეტების მიხედვით, ხოლო გრუნტების კატეგორიები მოცემულია არსებული საფონდო მასალების და რეკოგნოსცირებითი (ვიზუალური) სამუშაოების მიხედვით. ამრიგად:

1. რეალური მანძილები პროექტის მონაცემებთან შედარებით შეიძლება განსხვავდებოდეს 10-15%-ის ფარგლებში;
2. გრუნტების დამუშავების კატეგორია პროექტში მიღებულია გასაშუალებული-IV, რეალურად ტერიტორიაზე შეგვხვდება II დან V –კატეგორიებამდე გრუნტები.

კლდოვანი ზედაპირი არის მაგალითოდ სოფელ კარნახის ტერიტორიაზე ასევე შესაძლოა შეგვხვდეს სხვა ადგილებშიც.

კითხვა: რამდენი სანტიმეტრი უნდა იყოს გადახურვა ზევიდან (მიწის ფენა) 0,1 თუ 0,4

პასუხი: ტექ. დავალების შესაბამის ადგილებში მოხდება შესწორება, რომელიც შეადგენს 0,4 სანტიმეტრს.